ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №17

2017 წლის 29 ივნისი

ქ. ახალციხე

,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.173.016003) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. მე-4 – მე-5 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. აპარატის ხელმძღვანელობა და საჯარო მოსამსახურეები

1. პირველი რანგი – საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი;

2. მესამე რანგი – საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურიდიულ საკითხებში;

3. მესამე რანგი – საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – კადრებისა და წერილების საკითხებში;

4. მესამე რანგი – საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საორგანიზაციო საკითხებში;

5. მესამე რანგი – საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურიდიულ საკითხებში.

მუხლი 5. მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – იურიდიულ საკითხებში

1. პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში:

ა) ახორციელებს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს ბიუროს სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას; ამზადებს წინადადებებს მათი სამართლებრივი აქტების პროექტებზე;

ბ) უწევს მეთოდურ დახმარებას საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში, გ) წარმოადგენს და იცავს თვითმმართველი ერთეულის (საკრებულოს) ინტერესებს სასამართლოში;

დ) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციას; აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრივი

აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ;
ე) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების და აპარატის უფროსის სამსახურებრივ დავალებებს''.
2. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში:
ა) უწევს მეთოდურ დახმარებას საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში;
ბ) ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების სისტემატიზაციას; აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს სამართლებრივი აქტების პროექტებს და წინადადებებს მიღებული სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
გ) ასრულებს საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს სხვა თანამდებობის პირების და აპარატის უფროსის სამსახურებრივ დავალებებს.“.
2. მე-6 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 6. მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – საორგანიზაციო საკითხებში“.
3. მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 7. მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი – კადრებისა და წერილების საკითხებში“.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის პირველი ივლისიდან.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**